

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ მამნიაშვილი

სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები და მათი
გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და
მექანიზმები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - საჯარო მმართველობა
შიფრი - 1109

თბილისი - 2018

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში

ხელმძღვანელი, ეკონომიკურ,
ფილოსოფიურ და იურიდიულ
მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

/ალფრედ კურატაშვილი/

ოფიციალური რეცენზენტები:

- 1.
- 2.

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის "----" -----" --- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია ---

მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ავტორეფერატისა კი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.gtu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
სტუ-ს პროფესორი

/ლ. ბერიკაშვილი/

ABSTRACT

The dissertation thesis – **“The Problems of State Effectiveness and Ways and Mechanisms of Their Legal Solution”** consists of the Introduction, three Chapters and Conclusion.

Introduction provides for the topic rationale, the goal and objectives, the object and the subject of research, level of problem management, scientific innovation, practical significance of research results, volume and structure of the paper.

The first chapter of the thesis - **"Legal Basis for State Governance"** is focused on two issues. The first one concerns the Constitution as the regulations in the legal basis of the state governance. Consequently, it emphasizes the significance of the supremacy of the Constitution in comparison with all normative acts of the national legal system. The concept of state governance, its characteristic signs and the opinions on the subject of various scholars - V.Chichinadze, R.Godson, G. Browns, Z. Rukhadze and others – are provided.

In the second issue provided for in the First Chapter is the **“Constitution Relevant Legislation, i.e. the Legislation that Creates the Legal Basis for the State Governance”**; it is underlined that the laws and other normative acts adopted by the Parliament must serve the efficiency and effectiveness of state governance and be its basis. It is also emphasized that according to the Constitution of Georgia, a legal act contradicting to the Constitution should not apply, i.e. only legal acts corresponding to the Constitution of Georgia should be used only in the process of public administration.

In the course of public governance, the state government should, first of all, apply to the Constitution of Georgia. Consequently, according to constitutional requirements, public governance should take into account proportionality of the state, the need for the equality each human being before the law. Therefore, attention is paid to impartial consideration of a case in court, without which equality before the law and establishment of justice in the state is impossible and unimaginable.

Thus, one of the most important tasks of public governance is to achieve and establish justice in a state that is only possible through legal provision of public administration.

The Second Chapter of the dissertation thesis - **“Effectiveness of State Governance and Problems related to its Legal Maintenance”** – also covers two issues: problems of the state governance efficiency; problems of legal maintenance of the state governance.

Among them, the first issue of the Second Chapter of the dissertation is **“The Problems of Effectiveness of State Governance”** emphasizes that state governance will be effective and will eventually achieve a positive goal when it is based on legitimacy and fairness.

The second issue of the same Chapter is **“The Problems related to State Governance Legal Maintenance”**; this issue is analytical in nature and provides for

the specific facts of non-compliance of certain laws and by-laws with the Constitution, the overcoming of which will promote efficient implementation of public governance.

The Third Chapter of the dissertation thesis – “**The Ways and Mechanisms of State Governance and its Legal Maintenance**” covers two issues; the first issue provides for the ways and mechanisms of state governance efficiency. This issue also presents the author's vision of increasing the efficiency of governance mechanisms.

In the same Chapter, the second issue concerns the “Ways and Mechanisms of Legal Maintenance State Governance Efficiency”, which deals critically with number of normative act or norms fallen under the competence of the public law; it is reviewed and critically evaluated the opinions of individual scholars and on the basis of its analysis the ways and mechanisms for solution of some legal problems in the field of state governance are outlined.

The dissertation thesis ends with a conclusion and a list of reference.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალობა. სადისერტაციო ნაშრომად თემის შერჩევა სახელწოდებით „სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები და მათი გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები“ განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობის პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია სათანადო სამართლებრივი გზებისა და მექანიზმების შემუშავებისა და გამოყენების გარეშე.

რაც შეეხება სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობას იგი არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა, თემის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ვინაიდან ყველა სფეროს ვერ შევხებით, ნაშრომში მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, განხილულია სახელმწიფოს მართვის სამართლებრივ საფუძვლებში არსებულ პრობლემები, რადგან სახელმწიფოს მართვაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართლებრივ რეგულაციებს, რომლებიც რელიგიის, კანონების და ზნე-ჩვეულების იმგვარ ერთობას წარმოადგენს რომელთა ზუსტი დაცვა საუკუნეების მანძილზე უზრუნველყოფდა ცალკეულ სახელმწიფოებში (მაგ. ჩინეთში) მმართველობის წარმატებას¹.

ამდენად, მმართველობის ძალად მიტაცება, რასაც დიდი ფრანგი მოაზროვნე შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755 წ.წ.) თავის შესანიშნავ ნაშრომში „კანონთა გონი“ რეალურ ტირანიას უწოდებდა ან თუნდაც, სახელმწიფოს ხელისუფალთა იმგვარი მოქმედება, რომელიც მიმართულია ერის აზროვნების საწინააღმდეგო ხასიათის წესრიგის დამყარებისკენ და რასაც იგივე მონტესკიე აზრის ტირანიად მოიხსენიებდა, დროის მცირე მონაკვეთში მართალია იძლევა რამდენადმე ხელშესახებ შედეგს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში განწირულია დამარცხებისთვის², რაც 2012

¹იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა გონი“ (ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩაძემ). თბილისი. 1994 წელი. გვ. 324.

²იხ. იქვე, გვ. 325.

წლის ოქტომბერში ჩვენს ქვეყანაში და ამ ბოლო დროს ჩვენს სამეზობლოში (კერძოდ სომხეთში) განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა.

შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებამ, თუ მას სურს სახელმწიფოს მართვაში წარმატების მიღწევა უნდა გაითვალისწინოს ერის სულისკვეთება და შექმნას ისეთი კანონები, რომლებიც თავისი არსით არა მარტო არ ეწინააღმდეგება საჯარო მმართველობის პრინციპებს, არამედ ხელს უწყობს ეფექტიანი საჯარო მმართველობის განხორციელებას ხალხის საკეთილდღეოდ.

ამიტომაც იყო, რომ კაცობრიობა ოდითგანვე ცდილობდა და ცდილობს მმართველობის ეფექტიანი მოდელის დამკვიდრებას და ცალკეულ შემთხვევაში აღწევს კიდევ საწადელს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამისთვის ერთი და ორი თაობის ძალისხმევა არ კმარა, რაც კარგად ჩანს თუნდაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის მაგალითზე, რომელმაც დამოუკიდებლობის სულ რაღაც 25 წლის მანძილზე არაერთი ქვეყნის გამოცდილების გამოყენება დაისახა მიზნად, თუმცა იმ ქვეყნებში არსებულთან ქართული ხასიათის, სახელმწიფოებრივი ტრადიციების და ა.შ. განსხვავებამ დღემდე ვერ მოიტანა სასურველი შედეგი.

ზემოთქმული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ დამოუკიდებლობის განვლილი დროის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა ამ მიმართებით, რადგან ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, 1995 წელს მიღებული იქნა საქართველოს კონსტიტუცია, რომლებშიც ჩადებულია ის ძირითადი მექანიზმები, რომელთა სწორად რეალიზაციის პირობებში შესაძლებელია, რომ საჯარო მმართველობა იყოს ეფექტიანი. კერძოდ, დღემდე მოქმედ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, ასახულია მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, გადმოცემულია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს პარლამენტის არჩევის რეგულაცია და მისი უფლებამოსილება, პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო მეთაურის არჩევის წესი და მისი

უფლებამოსილება, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებისა და მის კომპეტენციას. ასევე სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებები.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით მკვეთრად არის რა ერთმანეთისაგან გამიჯნული ხელისუფლების სამი შტო- საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, რომლებიც დამოუკიდებლები არიან და არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მისაკუთროს ან ჩაერიოს ხელისუფლების რომელიმე შტოს საქმიანობაში, ქმნის სახელმწიფო მმართველობისათვის კარგ ფუნდამენტს.

თუმცა, შინაარსობრივად კარგი კონსტიტუციაც კი არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ მმართველობა აუცილებლად იქნება ეფექტიანი, რადგან თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი სამი შტო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულნი არიან სახელმწიფო მართვის პროცესში, თავის საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო საქართველოს კონსტიტუციით, არამედ მთელი რიგი სხვა ნორმატიული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, მაგრამ იმისათვის, რომ საჯარო მმართველობა განხორციელდეს ეფექტიანად, აუცილებელია, რომ ხელისუფლების თითოეულმა შტომ აღნიშნული სამართლებრივი აქტების საფუძველზე წარმატებით განახორციელოს თავის გამგებლობას მიკუთვნებული ფუნქციები. ამასთან, აუცილებელია, რომ თითოეული კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

შესაბამისად, კანონი ან კანონქვემდებარე აქტი თუ, იგი წინააღმდეგობაში აღმოჩნდება კონსტიტუციასთან, აღნიშნული მყისიერად უარყოფითად აისახება სახელმწიფოს მართვაზე, რადგან თავის მხრივ გახდება ქვეყნის ქვეშევრდომთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების ხელყოფის გამომწვევი მიზეზი, რაც ასევე ეწინააღმდეგება სამართლებრივ სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე მდგარი ქვეყნის მიზნებს და ამოცანებს.

აღნიშნული თავის მხრივ ცხადყოფს, რომ თანამედროვე დინამიურად და სწრაფად ცვალებად დროში სახელმწიფო მმართველობის

სისტემა მუდმივად დგას ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე. რის გამოც სახელმწიფო მართვის ორგანოებს უწევთ ოპერატიული და ადეკვატური რეაგირება სწრაფად ცვალებად სიტუაციებზე და მუდმივი განახლებისა და მოდერნიზაციის რეჟიმში უხდებათ საქმიანობა.

ყოველივე ეს კი მოითხოვს გააზრებული სამართლებრივი რეფორმების გატარების აუცილებლობას, რადგან რეფორმის პროცესში იცვლება კონცეფცია, მისი განხორციელების მეთოდები და ინსტრუმენტები. ამასთან, ახლებურ გააზრებას მოითხოვს მეცნიერების შემოქმედებით განვითარებას და მეცნიერულ საფუძველზე საჯარო მმართველობის სრულყოფას, რასაც უნდა ემსახურებოდეს სამართლებრივი რეფორმები.

თანამედროვე სახელმწიფოს მართვაში ძირეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ სახელმწიფოს მართვა უკვე შეუძლებელია ისეთი კატეგორიებისა და ინსტიტუტების გარეშე, როგორცაა კორპორაციული მმართველობა, მენეჯმენტი, ინოვაცია, რესურსების ოპტიმალური მართვა, პერსონალის მართვა, მომსახურება და სხვა.¹

ყურადსაღებია ისიც, რომ მოდერნიზაციის პროცესი ხორციელდება არა გლობალიზაციის არამედ მმართველობითი ფუნქციების კიდევ უფრო მზარდი დეცენტრალიზაციის ნიშნით, ხოლო მართვა კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე.

შესაბამისად, სახელმწიფო მართვის მოდერნიზაცია მოითხოვს, რომ ის იყოს მოქნილი, ორიენტირებული და მოწოდებული მასზედ, რომ წახალისოს ინიციატივა, განუხრელად დაიცვას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები და ადამიანის უფლებები.

ყოველვე ამისთვის კი გადაამწყვეტია სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა და საჯარო მმართველობის განმხორციელებელ სუბიექტთა ფაქტორი. ამ მიმართებით კი საყოველთაო აღიარებით, ჯერ კიდევ არ არის სახარბიელო მდგომარეობა, რადგან კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად, დაპირების

¹საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძველები. სახელმძღვანელო. გ. ხუბუასა და კარლ-პეტერ ზობერმანის რედაქციით. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა. ტომი 3, 2016.გვ. 5.

მიუხედავად, დღემდე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები, სერიოზულ პრობლემას ქმნის მმართველობის სფეროშიც, რასაც წინა წლებში ემატებოდა ცალკეულ მოხელეთა „ზედმეტი მონდომება“, რომლებიც სარგებლობდნენ არსებული მდგომარეობით და მათთვის სასურველ ისეთ კანონქვემდებარე აქტებს ახვევდნენ თავზე შესასრულებლად საზოგადოებას, სადაც თითქოსდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მოტივით იგნორირებული იყო ინდივიდის უფლებები.

აღნიშნულ პრობლემაზე მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თანაც საჯარო მმართველობის სხვადასხვა სფეროში, რაც არაეფექტურს ხდის მმართველობას და, რაც მთავარია, ეწინააღმდეგება იმ სამართლებრივ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს და სადაც ისინი აქცენტს აკეთებდნენ ეროვნულ ნიადაგზე ნასაზრდოები სამოხელეო აპარატის შექმნაზე.

საჯარო მმართველობის ეფექტიანობის პრობლემის გადასაჭრელად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მართვაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას, რაც საკანონმდებლო ბაზის მიზანმიმართული რეფორმირებით უნდა დაიწყოს, რაზედაც სადისერტაციო ნაშრომში სათანადო ყურადღებაა გამახვილებული.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს სადისერტაციო თემის აქტუალობას და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახელმწიფო მართვის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისათვის ხელისშემშლელი პრობლემები და შეიმუშაოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები.

დასახული მიზნიდან გამომდინარე კი, კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლების კონსტიტუციასთან/სხვა ფორმალურ საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობის აუცილებლობის დასაბუთება;

- კონსტიტუციის შესაბამისი კანონმდებლობის, როგორც სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლების დახასიათება;
- სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის კუთხით არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება;
- სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემების წარმოჩენა.
- სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის გზებისა და მექანიზმების შემუშავება და შეთავაზება;

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისათვის ხელისშემშლელი სამართლებრივი პრობლემები საქართველოში. ხოლო საგანი ამ პრობლემათა შესწავლა და მათი გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა. კვლევის თეორიული საფუძველია ზოგადად სახელმწიფო მართვის სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი მეცნიერ-თეორეტიკოსების კონცეპტუალურ-ფუნდამენტალური შეხედულებები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია სახელმწიფო მმართველობის, როგორც ადამიანის გააზრებული ქცევიდან გამომდინარე მოვლენის და ამ პროცესში არსებული სამართლებრივი ხარვეზების შეცნობის საერთო მეცნიერული პრინციპები – დიალექტური და სისტემური მიდგომები, შედარებითი ანალიზის მეთოდი, ემპირიული განზოგადოება, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია და სხვა.

კვლევის ინფორმაციული საფუძველია სახელმწიფო მართვის სფეროში არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებთან და მათი აღმოფხვრის გზებსა და მექანიზმებთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ გამოთქმული პროგრესული იდეები და დებულებები. აგრეთვე, საკვლევი თემის შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (მაგ. ინტერნეტით) გავრცელებული ინფორმაციები და ა.შ.

მეცნიერული სიახლე: ჩატრებული კვლევის შედეგად ჩვენს მიერ შემოთავაზებული და დასაბუთებულია შემდეგი სიახლეები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა გააუმჯობესებს საჯარო მმართველობის სამართლებრივი უზრუნველყოფას, კერძოდ:

➤ შემოთავაზებულია წინადადება, რომ შეიქმნას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც პერმანენტულ საწყისებზე უხელმძღვანელებენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს პრეზიდენტი, და რომლის საქმიანობის შედეგად, ამალდება წინააღმდეგობრივი სამართლებრივი აქტების გამოვლენის ალბათობა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას.

➤ იმ მოსზრების კრიტიკული შეფასების საფუძველზე, რომ თითქოსდა სახელმწიფო მართვის პრობლემები კავშირში არ არის არსებულ სამართლებრივ ხარვეზებთან, ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თუ ქვეყანა უარს იტყვის არსებული ხარვეზების რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრაზე საჯარო მმართველობის ორგანოებში უკანა პლანზე გადაინაცვლებს კანონისადმი პატივისცემა. უფრო მეტიც, მის ადგილს დაიკავებს დაუწერელი ე.წ. „მიზანშეწონილობის“ პრინციპი და კანონიერების, ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლების (იურიდიული პირის უფლებების და პატივისცემის) ნაცვლად არსებობას გააგრძელებს ე.წ. „შერჩევითი სამართლის“ გამოყენების მანკიერი პრაქტიკა.

➤ ნაშრომში, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, მმართველობის ცალკეულ ორგანოთა საქმიანობაში არსებული პარალელიზმი წარმოჩენილია სახელმწიფო მართვის საქმეში არაეფექტიანობის გამომწვევ ერთ-ერთ სამართლებრივ ფაქტორად, კერძოდ დასაბუთებულია, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციასთან დაკავშირებით წინააღმდეგობა არსებობს, ერთის მხრივ, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 ივლისის №145 დადგენილებას შორის, რადგან კანონმა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის

კოორდინატორად განსაზღვრა პროკურორი, მთავრობის დადგენილება კი ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით ამ ფუნქციას მიაკუთვნებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, და, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის დაქსაქსვამ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას შორის ერთგვარად შეასუსტა ამ მიმართებით საქმიანობა. რის გამოც შედეგები ბევრად უფრო ნაკლებად ეფექტურია ვიდრე ეს არის ან იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია ისევ სრულად დაბრუნდება პროკურატურის წიაღში;

➤ კრიტიკულად არის განხილული საჯარო სამართლის სფეროს მიკუთვნებული არაერთი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი და ნორმა კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას.

➤ სიახლეა ისიც, რომ ნაშრომში განხილულ პრობლემათა ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომლის თანახმად დროის მოთხოვნიდან გამომდინარე საჯარო, ანუ სახელმწიფო მართვაში რადიკალური ცვლილებები უნდა დაიწყოს საკანონმდებლო ბაზის მიზანმიმართული რეფორმირებით.

საკვლევი თემის დამუშავების დონე. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები და მათი გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზების და მექანიზმების ძიება და მეცნიერული კვლევა, და აგრეთვე მისი ინტერესი კარგა ხანია არსებობს თითქმის ყველა ქვეყანაში, საქართველოში კი აღნიშნული პრობლემატიკის კვლევა უფრო მეტად გააქტიურდა მას შემდეგ, როდესაც მიღებული იქნა 1995 წლის კონსტიტუცია და დღესაც გრძელდება.

სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემატიკასა და მათი გადაჭრის გზებისა და მექანიზმების მეთოდოლოგიურ შესწავლას ეძღვნება მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერის შრომები.

უცხოელ მეცნიერთაგან მნიშვნელოვანია – ქრისტოფ დეგენჰარტის, ტორსტენ ქინგრენის და რალფ პოშერის, ლოთარ მიქაელის და მარტინ

მორლოკის, ფოლკერ ეპინგის, მიქაელ ქლოფფერის და ჰოლგერ გრევეს, ჰაიკო ზაუერის; თომას ოპერმანის, კლაუს დიტერ ქლასენის და მარტინ ნექესჰაინის; შტეფენ დეტერბეის; არმინ ბოგდანდის, რუდოლფ გაიგერის, ვ. ვასილევის, ლ. ბურგანოვას, ი. ხოლოდენკოს, გრიერ ბუროუსისა და სხვათა ნაშრომები.

მიუხედავად ამისა, პრობლემა უაღრესად აქტუალურია და მოითხოვს შემდგომ თეორიულ კვლევას.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები გამოქვეყნებულია ხუთ სამეცნიერო სტატიაში. გაკეთებულია ორი მოხსენება საერთაშორისო კომფერენციაზე, ასევე ავტორის მიერ შესრულებული და დაცულია ორი თემატური სემინარი და სამი კოლოკვიუმი.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში მოცემული მეცნიერული სიახლეები და დასკვნები, ისევე როგორც ნაშრომში განხილული ანალიტიკური და ფაქტობრივი მასალა შეიძლება გამოყენებული იქნეს ძირითადად საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში და ა.შ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე დაბეჭდილ 146 გვერდს და შედგება – შესავლის, სამი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

ნაშრომის შინაარსი ასეთია:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები

I.1. კონსტიტუცია – სახელმწიფო მართვის ამოსავალი სამართლებრივი საფუძველი;

I.2. კონსტიტუციის შესაბამისი კანონმდებლობა – როგორც სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძველი;

თავი II. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი

სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები

2.1. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები

2.2. სახელმწიფო მართვის სამართლებრივი

უზრუნველყოფის პრობლემები

თავი III. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი

სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები

3.1. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის გზები და მექანიზმები

3.2. სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის

გზები და მექანიზმები

დასკვნები

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი – *„სახელმწიფო ეფექტიანობის პრობლემები და მათი გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები“* შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში წარმოდგენილია გამოსაკვლევ პრობლემის აქტუალობა, გამოკვლევის მიზანი და ამოცანები, საგანი და ობიექტი, გამოკვლევის დღევანდელი დონე და პრაქტიკული მნიშვნელობა, გამოკვლევის მეცნიერული სიახლეები, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში დახასიათებულია სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები და მათი გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები. გაკეთებულია ლიტერატურის მიმოხილვითი ანალიზი, კრიტიკულად შეფასებულია ავტორთა კონცეფციები და და გაკეთებულია ავტორისეული კომენტარები.

შედეგები და მათი განსჯის ნაწილი ნაშრომში შემდეგი სტრუქტურით არის წარმოდგენილი:

თავი I. სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები;

თავი II. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი

სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები;

თავი III. სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი

სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები.

ნაშრომის პირველი თავი – *„სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები“* – ორ საკითხად არის გაშლილი. პირველში საუბარია: კონსტიტუციაში, როგორც სახელმწიფო მართვის ამოსავალ სამართლებრივ საფუძვლებში არსებულ რეგულაციებზე. შესაბამისად, ხაზგასმულია კონსტიტუციის უზენაესობის მნიშვნელობაზე ეროვნული სამართლებრივი სისტემის ყველა ნორმატიულ აქტთან შედარებით. მოცემულია სახელმწიფო მართვის ცნება, მისი დამახასიათებელი ნიშნები და ამ საკითხზე სხვადასხვა მეცნიერის - ვ. ჭიჭინაძის, რ. გოდსონის, გ. ბროუსის, ზ. რუხაძისა და სხვათა შეხედულებები.

განხილულია სახელმწიფო მართვის ფორმები. მონარქისტული, რესპუბლიკური, საპრეზიდენტო და შერეული. რის ფონზეც დახასიათებულია საქართველოს მართველობის ფორმა.

პირველ თავში მეორე საკითხად განხილულია *კონსტიტუციის შესაბამისი კანონმდებლობა ანუ, ის კანონმდებლობა, რომლებიც ქმნის სახელმწიფო მართვის სამართლებრივ საფუძვლებს* და ხაზგასმულია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და სხვა ნორმატიული აქტები უნდა ემსახურობდნენ სახელმწიფო მართვის ეფექტიანობას და მის საფუძველს წარმოადგენენ. ასევე ის, რომ არცერთი ორგანული კანონი, საქართველოს კანონი თუ სხვა ნორმატიული აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას ანუ, ისინი ჰარმონიულად უნდა იყვნენ დაკავშირებულნი, რადგან სახელმწიფო მართვის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას უნდა ემსახურობდნენ.

ამავე პარაგრაფში მოცემულია სახელმწიფო/საჯარო მმართველობის დამახასიათებელი ნიშნები. აღნიშნულია, რომ მას აქვს აღმასრულებელ – განმკარგულებელი ხასიათი. მისი ძირითადი მიმართულება – კანონმდებლობის აღსრულება. ე.ი. კანონებისა და სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტების გატარება ცხოვრებაში, სახელმწიფო

მმართველობის ხელისუფლების სუბიექტები ფლობენ სახელმწიფო-სახელისუფლებო უფლებამოსილებას და ისინი გამოდიან სახელმწიფოს სახელით. ამასთანავე დასაბუთებულია, რომ ადმინისტრაციული სამართალი/საჯარო მართვა, მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია. ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს სახელმწიფო მმართველობის პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მმართველობის პრონციპებს და მათ ფუნქციებს, ანუ მმართველობის შინაარსს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფო მმართველობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის ობიექტს. ამიტომაცაა, რომ ადმინისტრაციული სამართლის ნორმები ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო/საჯარო მმართველობაზე.

სახელმწიფო/საჯარო მართვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ფუნქციონირებისათვის სხვადასხვაგვარი ორგანიზაციული ფორმების არსებობა. ორგანიზაციული მართვის მაღალი დონე, რომელიც დგას სახელმწიფოს წინაშე და მოწოდებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მის წინაშე მდგომი პრობლემების გადასაწყვეტად.

ამდენად, სახელმწიფო/საჯარო მმართველობა სოციალური მმართველობის სახესხვაობაა, რომლის ფუნქციონირება ტრადიციულად დაკავშირებულია განსაკუთრებულ სამართლებრივ დარგთან, ეს დარგი კი ადმინისტრაციული სამართალია.

ზემოთქმულს ის ახსნა აქვს, რომ სახელმწიფო მართვა შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთ ფორმად, რომლის ამოცანასაც შეადგენს ყოველდღიური სისტემური ხელმძღვანელობის განხორციელება სამეურნეო, სოციალურ-კულტურულ და ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ სფეროებში, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, სახელმწიფო მართვა განიხილება ორი მიმართულებით – ფართო და ვიწრო გაგებით. სახელმწიფო და საჯარო მართვა ფართო გაგებით ეს არის სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაციული და განმკარგულებელი საქმიანობა, ხოლო სახელმწიფო/საჯარო მმართველობა ვიწრო გაგებით, არის სახელმწიფო

ხელისუფლების საქმიანობა უშუალოდ მმართველობითი აპარატის მეშვეობით.

შესაბამისად, სახელმწიფო მმართველობის სუბიექტებს წარმოადგენენ, სახელმწიფო აპარატი, ხოლო ობიექტს – ხალხი, მათი მოქმედება, ერთობლივი შრომა.

სახელმწიფო მართვა ემყარება პრინციპებს, რომლებიც კონსტიტუციური სამართლის წიაღიდან არიან აღმოცენებულნი და ამიტომ მათი წარმომავლობის გათვალისწინებით საჯარო მმართველობა კონსტიტუციურ რანგშია აყვანილი. ასევე, განხილულია სახელმწიფო მართვის პრინციპები, როგორცაა: თანაზომიერების, კანონის წინაშე თანასწორობა, საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა და აშ.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში – *„სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები“* – ასევე ორი საკითხია განხილული: სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები; სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები.

მათგან, სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის პირველ საკითხში – *„სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები“*; ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო მმართველობა ეფექტიანი იქნება და საბოლოოდ დადებით მიზანს მიაღწევს მაშინ, როდესაც ის კანონიერებასა და სამართლიანობაზე იქნება დაფუძნებული.

ერთ–ერთი ასეთია, ხალხის ინტერესების უზრუნველყოფის თეორია, რომელიც პროფესორმა ალფრედ კურატაშვილმა გასული საუკუნის 70–იან წლებში შეიმუშავა, ავტორის აზრით, როგორც მეცნიერული კვლევები, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიიდან გამომდინარე, აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ, არა კანონის უზენაესობით, არა კანონის ბატონობით, არა სამუქალბათა უზენაესობით, არამედ მიზნის უზენაესობით – სოციალური მიზნის უზენაესობით, ადამიანის ინტერესებით – ხალხის ინტერესების უზენაესობით, რაც წარმოადგენს პრინციპულად ახალ

მიმართულებას ფილოსოფიური, იურიდიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სახელმწიფო მართვის მეცნიერებაში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ არც თუ იშვიათად ამ დებულებას საწინააღმდეგოდ პრაქტიკაში ზოგჯერ ღებულობენ და დღემდე მოქმედების ძალამოსილებას ინარჩუნებენ ისეთი კანონები და სხვა ნორმატიულ–სამართლებრივი აქტები და ა. შ., რომლებიც აშკარად ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და სამართლიან ინტერესებს.

შესაბამისად ადგილი აქვს იმ ვითარებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიასთან. რადგანაც ამ თეორიის საფუძველზე ყველა კანონი და ნორმატიულ – სამართლებრივი აქტი და ა. შ. და უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოთა კონსტიტუციები მოყვანილი უნდა იქნეს შესაბამისობაში ადამიანის ინტერესების, ხალხის ინტერესების უზენაესობასთან.

ერთგვარი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მიერ შემუშავებული თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია, რომელიც საშუალებას იძლევა გადალახულ იქნეს წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, რიგითი მოქალაქეების მოქმედებებზე არსებული პასუხისმგებლობა და მეორე მხრივ, თანამდებობის პირთა მოღვაწეობის შედეგებზე მათი პასუხისმგებლობის არარსებობას შორის, რომელიც (თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა) დაბალანსებული უნდა იყოს მათ უფლებებთან – მართონ ან უშუალოდ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში. თუმცა ეს თეორია სამწუხაროდ დღემდე უსაფუზვლოდ მივიწყებულია.

ყოველივე ეს კი გახდა საფუძველი იმ პრაქტიკის დამკვიდრებისა, რომლითაც თანამდებობის პირთა მიერ (თანამდებობის პირების) ანტი კონსტიტუციური უკანონი ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც ლახავენ მრავალი ადამიანის ინტერესებს, პრაქტიკულად არ იწვევს ამ თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ცხადყოფს ადამიანის უფლებების დარღვევის მრავალ შემთხვევას.

ნაშრომის ამავე თავში, მეორე საკითხი – *„სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები“* ანალიტიკური ხასიათისაა და მოტანილია ცალკეული კანონების თუ კანონქვემდებარე აქტების კონსტიტუციასთან ასევე ერთმანეთთან შეუსაბამობის ფაქტები, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი, რომელიც უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფციას ითვალისწინებს, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს (მაგ. კონსტიტუციისგან განსხვავებით მასში მოხსენიებული არ არის საბრალდებო დასკვნა), იგივე ითქმის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის რედაქციაზე, რომელიც პროკურორს უფლებას რთავს ჩაატაროს „წინასწარი გამოძიება“, არადა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი უკვე კარგა ხანია არ არსებობს, რადგან გაუქმებულია.

ანალოგიურად, მმართველობის ეფექტიანობა, ვინაიდან ფორმალურად არსებული გამართული კანონმდებლობის სწორ რეალიზაციაზეცაა დამოკიდებული და ადგილი არ უნდა ჰქონდეს ე.წ არაფორმალური კანონმდებლობის არსებობას (რისი პრეცედენტიც ჩვენი ქვეყნის წარსულში იყო და ამდენად, ქმედითი ზომების გაუტარებლობის შემთხვევაში მისი რეციდივის საფრთხე არსებობს), კრიტიკულად არის განხილული საჯარო სამართლის სფეროს მიკუთვნებული არა ერთი ნორმატიული სამართლებრივი აქტი და ნორმა, კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კონკრეტულად კი ნაჩვენებია, მაგ. თუ როგორ უშლის ხელს სახელმწიფო ორგანოთა არა მხოლოდ ეფექტიან არამედ ოპერატიულად საქმიანობას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილში არსებული, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამო (რომლითაც

ყოველ ადამიანს აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს) დანაწესი იმის თაობაზე, რომ სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, არ გამოიყენა საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ანალოგიური მიზნის წარმოსასჩენად ამავე თავში მოცემულია ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181-ე ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის კრიტიკული ანალიზი, რომლთაც დასტურდება, რომ ეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც სამწუხაროდ დღემდე ძალაშია, ეწინააღმდეგება, არა მარტო კანონს „პროკურატურის შესახებ“, არამედ საქართველოს კონსტიტუციას, სხვა საკანონმდებლო აქტებს, რადგან პროკურატურას აკისრებს ისეთ მოვალეობებს, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებული არა არის (მაგ. გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა, გამოძიების პროცესში ინდივიდის უფლებების დაცვაზე, უარის თქმა და აშ), რითაც ნიჰილისტურ განწყობას ნერგავს საზოგადოებაში კანონმდებლობის მიმართ, განაწყობს ადამიანს სამართლიანობის აღსადგენად სხვა გზები ეძებოს და ამით ხელს უშლის ეფექტიან მართვას.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი, – *„სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები“* – მოიცავს ორ საკითხს, პირველ საკითხად განხილულია სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის გზების თემატიკა და მოცემულია მართვის მექანიზმების ეფექტიანობის ასამაღლებლად ავტორისეული ხედვა. კერძოდ სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის ორგანიზაციულ-მმართველობითი მექანიზმის სრულყოფის მიზნით შეთავაზებულია მთელი რიგი წინადადებები. ასე მაგ. იმ მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, რომ წინა ხელისუფლების პირობებში დამკვიდრებული იყო მანკიერი პრაქტიკა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო

მიერ მიღებული, ანუ ფორმალური კანონმდებლობის გვერდით ცალკეულ სახელმწიფო უწყებებში არსებობდა ე.წ არაფორმალური ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის უპირველეს კანონს და სხვა საკანონმდებლო აქტებს, ქვეყანაში იმ დროს გამეფებული აზრის ტირანია კი სახელმწიფო მოხელეს არ უტოვებდა სხვა გზას, გარდა იმისა, რომ შეესრულებინა ისინი, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მისაღწევად სამართლის, როგორც ფენომენის გამოყენების მიზნით, სასურველია შეიქმნას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შევლენ-ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მაღალკვალიფიციური კადრები, ასევე სამართლის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტები, საზოგადოების წარმომადგენლები და პერმანენტულ საფუძველზე უხელმძღვანელებენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და საქართველოს პრეზიდენტი. რაც არამხოლოდ არსებულ სამართლებრივ პრობლემას აღმოფხვის ქვეყანაში და სახელმწიფო მართვას დააყენებს სამართლებრივ რელსებზე, არამედ შეარბილებს ხელისუფლების შტოთა შორის დაპირისპერებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შეამცირებს აუცილებელი სამართლებრივი აქტების მიღების დროს, რადგან არ დადგება პრეზიდენტის მიერ ე. წ. „ვეტოს“ გამოყენების საჭიროება, ამალღდება თვით ნორმატიული აქტების ხარისხი, პარლამენტის მხრიდან მის მიერ მიღებული აქტების შესრულებისადმი კონტროლი და აშ;

კრიტიკულად არის შეფასებული ის შეხედულება, რომ თითქოსდა ქვეყნის მართვის პრობლემები კავშირში არ არის არსებულ სამართლებრივ ხარვეზებთან.

ხაზგასმულია ე. წ. „გარდამავალი პერიოდის“ სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საჭიროებაზე, რისთვისაც სხვა სახის წინადადებებთან ერთად, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით დასმულია სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაში არსებული პარალელიზმის აღმოფხვრის აუცილებლობის საკითხი.

ამავე თავში, მეორე საკითხად განხილულია – „სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები“, რა დროსაც კრიტიკულად არის განხილული საჯარო სამართლის სფეროს მიკუთვნებული არა ერთი ნორმატიული აქტი თუ მისი ნორმა, განხილული და კრიტიკულად არის შეფასებული ცალკეულ მეცნიერთა შეხედულებები, მათი ანალიზის საფუძველზე კი დასახულია სახელმწიფო მართვის სფეროში სამართლებრივი კუთხით არსებული ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები და მექანიზმები.

სადისერტაციო ნაშრომი კი მთავრდება შემაჯამებელი დასკვნით.

დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია სათანადო დასკვნები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს საჯარო მართვის ეფექტიან ფუნქციონირებას, არსებული პრობლემების სამართლებრივი უზრუნველყოფის ჩემს მიერ შემოთავაზებული გზების და მექანიზმების გამოყენებით.

კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია შემდეგი დასკვნები:

ჩატრებული კვლევის შედეგად ჩვენს მიერ შემოთავაზებული და დასაბუთებულია შემდეგი სიახლეები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა გააუმჯობესებს საჯარო მმართველობის სამართლებრივი უზრუნველყოფას, კერძოდ:

1. შემოთავაზებულია წინადადება, რომ შეიქმნას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც პერმანენტულ საწყისებზე უხელმძღვანელებენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს პრეზიდენტი, და რომლის საქმიანობის შედეგად, ამალდება წინააღმდეგობრივი სამართლებრივი აქტების გამოვლენის ალბათობა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას.
2. იმ მოსზრების კრიტიკული შეფასების საფუძველზე, რომ თითქოსდა სახელმწიფო მართვის პრობლემები კავშირში არ არის არსებულ სამართლებრივ ხარვეზებთან, ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თუ ქვეყანა უარს იტყვის არსებული ხარვეზების რაც შეიძლება სწრაფად

აღმოფხვავს საჯარო მმართველობის ორგანოებში უკანა პლანზე გადაინაცვლებს კანონისადმი პატივისცემა. უფრო მეტიც, მის ადგილს დაიკავებს დაუწერელი ე.წ. „მიზანშეწონილობის“ პრინციპი და კანონიერების, ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლების (იურიდიული პირის უფლებების და პატივისცემის) ნაცვლად არსებობას გააგრძელებს ე.წ. „შერჩევითი სამართლის“ გამოყენების მანკიერი პრაქტიკა.

3. ნაშრომში, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, მმართველობის ცალკეულ ორგანოთა საქმიანობაში არსებული პარალელიზმი წარმოჩენილია სახელმწიფო მართვის საქმეში არაეფექტიანობის გამომწვევ ერთ-ერთ სამართლებრივ ფაქტორად.
4. არაერთი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომლის თანახმად აუცილებლად არის მიჩნეული მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას.
5. ნაშრომში განხილულ პრობლემათა ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომლის თანახმად დროის მოთხოვნიდან გამომდინარე საჯარო, ანუ სახელმწიფო მართვაში რადიკალური ცვლილებები უნდა დაიწყოს საკანონმდებლო ბაზის მიზანმიმართული რეფორმირებით.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში და გადმოცემულია ინფორმაციის სახით ავტორის მიერ შესრულებულ კოლოკვიუმებში:

თამარ მამნიაშვილი - თემატური სემინარი 1 – „საგამომიებო საქმიანობა და სახელმწიფო მართვა“. 27.02.2017.

თამარ მამნიაშვილი - თემატური სემინარი 2 – „საქართველოს კანონმდებლობა და სახელმწიფო მართვა“. 17.07.2017.

თამარ მამნიაშვილი - კოლოკვიუმი 1 - „სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები“. 27.02.2017.

თამარ მამნიაშვილი - კოლოკვიუმი 2 - „სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფილ პრობლემები“. 17.07.2017.

თამარ მამნიაშვილი - კოლოკვიუმი 3 - „სახელმწიფო მართვის ეფექტიანობისა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები“. 27.02.2018.

სტატიები და მოხსენებები:

1. თამარ მამნიაშვილი, სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“ 2017, №5-6, გვ. 75–78.
2. თამარ მამნიაშვილი, კონსტიტუციის შესაბამისი კანონმდებლობა, როგორც სახელმწიფო მართვის სამართლებრივი საფუძვლები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“ 2017, №5-6, გვ. 67–70.
3. თამარ მამნიაშვილი, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის გზები და მექანიზმები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „პროგრესი“, 2018, №1-2, გვ. 82–85.
4. თამარ მამნიაშვილი, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები. სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება“. (ისტორია, თეორია, პრაქტიკა). (რედაქტორი შ. დოლონაძე). თბილისი 2018, №2(46) 223 გვ. (გვ. 47–75).
5. თამარ მამნიაშვილი, კონსტიტუცია, სახელმწიფო მართვის ამოსავალი სამართლებრივი საფუძვლები. მეცნიერების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემები. XXVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 22.02.2017. გვ. 72–73.